ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

ბრძანება:**ბ61. 6126069001**
თარიღი:**10/03/2026**

ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის მოწვევის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" - ს 26–ე მუხლის მეორე პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის , 35–ე მუხლის 1–ლი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის და ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) მე–17 მუხლის მე–2 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, 51-ე მუხლის 1 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის საფუძველზე ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

მუხლი 1. 2026 წლის 11 მარტს 13 საათზე ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში (ხონი, პ. კაკაბაძის ქ.#17) მოწვეულ იქნას ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა შემდეგი დღის წესრიგით:

1. „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2026 წლის 16 იანვრის #85 განკარგულების შესაბამისად, 2026 წელს ხონის მუნიციპალიტეტი სოფლებში შერჩეული და განსახორციელებელი პროექტების ნუსხის მოწონების შესახებ.

მომხსენებელი: მაყვალა ბახტაძე - პირველადი სტრუქტურული ერთეული – სივრცითი მოწყობის,ინფრასტრუქტურის, ტრანსპორტისა და არქიტექტურის სამსახურის განყოფილების უფროსი.

2. ხონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო აღნაგობის ფორმით, სსიპ ,,საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსათვის" სარგებლობაში გადაცემის თაობაზე ხონის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხსენებელი: მარინა ძაძამია - პირველადი სტრუქტურული ერთეული – ეკონომკის და ქონების მართვისა სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

3. ხონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო აღნაგობის ფორმით, სსიპ ,, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიისათვის " სარგებლობაში გადაცემის თაობაზე ხონის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხსენებელი: მარინა ძაძამია - პირველადი სტრუქტურული ერთეული – ეკონომკის და ქონების მართვისა სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

მუხლი 2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით სამტრედიის რაიონულ სასამართლოში (ქ. სამტრედია, ძმები ნინუების ქ. N 1) მისი გამოცემიდან 1 /ერთი/ თვის ვადაში

მუხლი 3 . ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკაკი გოფოძე

ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი